განათლების E სახლი

წყაროზე მუშაობის ინსტრუმენტები

მოამზადეს
ლევან ახვლედიანმა
ხათუნა ციხელაშვილმა

2023 წელი.

სამუშაო ფურცლების გამოყენება სხვადასხვა ტიპის ისტორიული წყაროს ანალიზისთვის (VII – XII კლასები)

რა არის ისტორიული წყარო? ისტორიული წყაროები წარმოადგენენ წერილობითი დოკუმენტებისა და მატერიალური კულტურის ძეგლების კომპლექსს, რომლებიც ასახავენ ისტორიულ პროცესს. სწორედ ამ წყაროებზე დაყრდნობით, ისტორიკოსები იკვლევენ წარსულს.

თუ, ადრე წყაროებზე დაყრდნობით ისტორიის შესწავლა მხოლოდ სპეციალისტთა საქმე იყო, ახლა ის ფართოდ გამოიყენება სასწავლო პროცესშიც. ეროვნულ სასწავლო გეგმაში, კერძოდ, ისტორიის სტანდარტში დიდი ყურადღება ეთმობა წყაროების გამოყენებით ისტორიული მოვლენების შესწავლას. ისტორიის სახელმძღვანელოებში უხვადაა წარმოდგენილი მრავალფეროვანი ისტორიული წყაროები და სხვადასხვა სახის დავალებები, რომლებიც ამ წყაროებზე მუშაობას ეხება.

სასკოლო სივრცეში ისტორიული წყაროების დამუშავების მრავალი მეთოდი არსებობს, რომელთა გამოყენებაც ხელს უწყობს სწავლა/სწავლების პროცესს. ერთ-ერთი ასეთი მეთოდია წყაროს ანალიზი სამუშაო ფურცლების გამოყენებით

რა არის სამუშაო ფურცელი და როგორ შეიძლება მისი გამოყენება

სამუშაო ფურცელი წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც მასწავლებელს უადვილებს სწავლების პროცესის წარმართვას. ის ეხმარება მოსწავლეებს იმსჯელონ მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების, ადამიანებისა და ცნებების შესახებ. მიუხედავად განსხვავებული ისტორიული თემებისა, რომლებიც სასკოლო პროგრამაშია წარმოდგენილი, სამუშაო ფურცლები უნივერსალურ საშუალებას წარმოადგენენ მათ შესასწავლად.

რატომ არის სამუშაო ფურცლები ასე ღირებული?

წარმოგიდგენთ სამუშაო ფურცლების გამოყენების სარგებელს ისტორიის სწავლებისას:

ცნებების განმტკიცება: სამუშაო ფურცელი შეიძლება გამოყენებულ იქნას კლასში ნასწავლი ახალი ცნებებისა და ფაქტოლოგიის განსამტკიცებლად, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ მასალის მკაფიო გაგებას, ასევე, განვლილი მასალიდან მიღებული ინფორმაციის განსახილველად, რაც ხელს უწყობს ცოდნის გამყარებას.

გააზრების შეფასება: სამუშაო ფურცლები შეიძლება გამოყენებულ იქნას მოსწავლეთა მიერ ისტორიული მოვლენებისა და ცნებების გაგების შესაფასებლად, რაც მასწავლებლებს მიაწვდის ღირებულ უკუკავშირს მოსწავლეთა პროგრესის შესახებ.

ჩართულობა და მოტივაცია: ისტორიის სამუშაო ფურცლები შეიძლება შეიქმნას ისე, რომ იყოს საინტერესო და გასართობი მოსწავლეებისთვის. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეების მოტივაციას და მათ დაინტერესებას მასალით, რაც სწავლას უფრო სასიამოვნოს და ეფექტურს გახდის.

პერსონალიზაცია და დიფერენციაცია: სამუშაო ფურცლების კიდევ ერთი უპირატესობა ის გახლავთ, რომ შესაძლებელია მათი მარტივად მორგება ცალკეული მოსწავლის საჭიროებებზე, რაც დიფერენცირებისა და პერსონალიზებული სწავლის საშუალებას იძლევა. ეს ხელს შეუწყობს თითოეული მოსწავლის გამოწვევას შესაბამის დონეზე.

გაკვეთილის დამატება: და ბოლოს, სამუშაო ფურცლები შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც გაკვეთილის დამატება, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს უფრო ღრმად და საკუთარი სწავლის ტემპით შეისწავლონ კონკრეტული თემები. ეს განსაკუთრებით გამოსადეგია იმისთვის, რომ ყველა მოსწავლემ საფუძვლიანად გაიგოს მასალა, მიუხედავად გაკვეთილის ტემპისა.

მრავალფეროვნება: სამუშაო ფურცლები შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა ფორმატში. მაგ., ციფრული და ბეჭდური სამუშაო ფურცლები, კროსვორდები, თავსატეხები, მრავალჯერადი გამოყენების სამუშაო ფურცლები და სხვა. სამუშაო ფურცლების გამოყენების შესაძლებლობა ფაქტიურად უსაზღვროა.

რა უნდა გვახსოვდეს სამუშაო ფურცლების გამოყენებისას?

სამუშაო ფურცლების გამოყენებისას უნდა გაითვალისწინოთ მოსწავლეების/კლასის დონე, კერძოდ, რამდენად დაძლევადია მათთვის ამგვარი ფურცლის შევსება.

ასევე, გასათვალისწინებელია დროის ფაქტორი, კერძოდ, რა დროს ვაძლევთ მოსწავლეებს სამუშაო ფურცლის შესავსებად.

მუშაობისას შეიძლება გამოიკვეთოს შემდეგი სირთულე, კერძოდ, მოსწავლეებმა პასუხი ვერ გასცენ სამუშაო ფურცელში მოცემულ ყველა შეკითხვას, რადგანაც მიწოდებული წყარო მათ ამის საშუალებას არ აძლევდეს. (როგორც ზემოთ ვთქვით, წარმოდგენილი სამუშაო ფურცლები უნივერსალურია, თუმცა შეუძლებელია გათვალიწინებულ იქნას ნებისმიერი წყაროს სპეციფიკა). ამ შემთხვევაში, მასწავლებელმა წინასწარ უნდა გააფრთხილოს მოსწავლეები, რომ ეს შეკითხვა გამოტოვონ ან სამუშაო ფურცლის მომზადებისას ეს შეკითხვა უბრალოდ წაშალოს. ასევე, შესაძლებელია მასწავლებელმა, გამომდინარე სამუშაოს სპეციფიკიდან შეცვალოს კითხვები, რომლებიც სამუშაო ფურცელშია მოცემული.

წარმოგიდგენთ განსხვავებული ტიპის წყაროების რვა სამუშაო ფურცელს: არტეფაქტის, კარიკატურის, პლაკატის, რუკის, ფილმის, ფოტოსურათის, წერილობითი წყაროს და ხელოვნების ნიმუშის სამუშაო ფურცელს.

წარმოდგენილი სამუშაო ფურცლები განკუთვნილია VII – XII კლასებისთვის.

წყაროების ანალიზი

01 არტეფაქტის ანალიზი

02 კარიკატურის ანალიზი

03 პლაკატის ანალიზი

04 რუკის ანალიზი

05 ფილმის ანალიზი

06 ფოტოსურათის ანალიზი

07 წერილობითი წყაროს ანალიზი

08 ხელოვნების ნიმუშის ანალიზის სამუშაო ფურცელი

სარჩევი

არტეფაქტის ანალიზი

1. ***არტეფაქტის ტიპი:***

   მიუთითე ის მასალა, რომლისგანაც დამზადებულია არტეფაქტი: ლითონი, ძვალი, ხე, ქვა, მინა, ქაღალდი, მუყაო, ბამბა, შალი, ტყავი, თიხა, პლასტიკატი და სხვა.

2. ***არტეფაქტის ფიზიკური (გარეგნული) მახასიათებლები:***

   აღწერე, რა ნიშნებით ხასიათდება არტეფაქტი: ფორმა(მოყვანილობა), ფერი, ზომა, წონა, ხელით ნაკეთი, ქარხნული წესით გაკეთებული და სხვა.

3. ***არტეფაქტის გამოყენება:***

   ა) რისთვის მოიხმარდნენ მას? ----------

   ბ) ვინ მოიხმარდა მას? ----------

   გ) სად მოიხმარდნენ მას? ----------

   დ) როდის მოიხმარდნენ მას? ----------

4. ***რას გვეუბნება არტეფაქტი?***

   ა) რას გვეუბნება არტეფაქტი იმ ტექნოლოგიების შესახებ, რომლებიც გამოიყენებოდა მისი დამზადების პერიოდში?----------

   ---

   ბ) რას გვეუბნება არტეფაქტი იმ ეპოქის ადამიანების ყოფა-ცხოვრების შესახებ, რომელშიც ის იყო შექმნილი? ----------

   ---

   გ) დაასახელეთ ამ არტეფაქტის იდენტური საგანი, რომელიც დღეს არსებობს ან არის ხმარებაში: ----------

   ---

სარჩევი

კარიკატურის ანალიზი

1. ჩამოწერეთ ობიექტები ან ადამიანები, რომლებიც გამოსახულია კარიკატურაზე:	1. რაზე მიუთითებს კარიკატურის წარწერა და სათაური? 2. შეარჩიეთ სამი სიტყვა ან ფრაზა, რომელიც ახასიათებს კარიკატურაზე გამოსახულ ობიექტებსა და ადამიანებს: 3. დაწერეთ ყველა მნიშვნელოვანი თარიღი ან ციფრი, რომელიც მოცემულია კარიკატურაში:
2. თქვენს მიერ ჩამოწერილი ობიექტების სიიდან, რომლები წარმოადგენენ სიმბოლოებს? **3. თქვენი აზრით, რა აღნიშმნავს თითოეული სიმბოლო?**	4. რომელი სიტყვები ან ფრაზები გეჩვენებათ ყველაზე მნიშვნელოვნად? რატომ ფიქრობთ ასე? 5. ჩამოწერეთ ზედსართავი სახელები, რომლებიც თქვენი აზრით, გამოხატავენ კარიკატურაში გადმოცემულ ემოციებს:
ა) აღწერე მოქმედება, რომელიც გადმოცემულია კარიკატურაზე: **ბ) როგორ გესმით კარიკატურის არსი:** **გ) რომელი სოციალური ჯგუფებისთვის იქნებოდა მისაღები ან მიუღებელი კარკატურის იდეა. ახსენი, რატომ?**	

სარჩევი

პლაკატის ანალიზი

1.	**დაასახელეთ ძირითადი ფერები, რომლითაც შესრულებულია პლაკატი/აფიშა**
2.	**აღწერეთ პლაკატი**
3.	**რა სიმბოლებია გამოყენებული პლაკატში/აფიშაში?**
4.	**რომელი სიმბოლოა:** ა) ნათელი (ადვილად გასაგები) _____ ბ) ბუნდოვანი _____ გ) დამახსოვრებადი _____
5.	**პლაკატში/აფიშაში გადმოცემული ინფორმაცია არის უმთავრესად ვიზუალური, ვერბალური თუ ორივე ერთად?**
6.	**როგორ ფიქრობთ, რომელი აუდიტორიისთვისაა განკუთვნილი ეს პლაკატი/აფიშა?**
7.	**რა იყო პლაკატის/აფიშის ავტორთა მიზანი?**
8.	**საზოგადოების რა მიზნებს ემსახურება პლაკატი/აფიშა?**

სარჩევი

რუკის ანალიზი

1. <u>რუკის ტიპი:</u> ○ რელიეფური რუკა ○ ტოპოგრაფიული რუკა ○ პოლიტიკური რუკა ○ კონტურული რუკა ○ ბუნებრივი რესურსების რუკა ○ სამხედრო რუკა	○ არტეფაქტების რუკა ○ ისტორიული რუკა ○ კოსმოსური ფოტოს რუკა ○ გზების რუკა ○ კლიმატის რუკა ○ სხვა
2. <u>რუკის ფიზიკური მახასიათებლები</u> ☐ ქვეყნის მხარეების აღნიშვნა ☐ ხელნაწერი რუკა ☐ შექნის დრო ☐ ნომენკლატურა ☐ მასშტაბი	☐ რუკის შემდგენელის ვინაობა ☐ სათაური ☐ ლეგენდა ☐ სხვა
3. <u>რუკის შექმნის დრო</u>	
4. <u>რუკის შემდგენელის ვინაობა</u>	
5. <u>რუკის დამზადების ადგილი</u>	

6. <u>რუკის ინფორმაცია:</u>

ა) დააკვირდით რუკას და ჩამოთვალეთ სამი რამ, რაც თქვენი აზრით მნიშვნელოვანია ამ რუკაზე:

1.

2.

3.

ბ) თქვენი აზრით, რა მიზნით შეიქმნა ეს რუკა? პასუხი დაასაბუთეთ

გ) რა დამატებით ინფორმაციას გაძლევთ რუკა გამსახილველ თემასთან დაკავშირებით?

დ) რუკაზე მოცემული რა ინფორმაცია ეწინააღმდეგება თქვენს ცოდნას განსხილველ თემასთან დაკავშირებით?

ე) დაუსვით შეკითხვა რუკის შემდგენელს, რომელიც, თქვენი აზრით, პასუხგაუცემელია რუკაზე:

სარჩევი

ფილმის ანალიზი

საფეხური 1. ფილმის წინასწარი ანალიზი სათაურის გაცნობის შემდეგ	
ა)	ფილმის სათაური _____ ფილმის რეჟისორი _____
ბ)	როგორ ფიქრობთ, რას ნახავთ ამ ფილმში? ჩამოთვალეთ სამი მოსაზრება ან იდეა, რომელიც თქვენ ფილმის სათაურის და რეჟისორის გაცნობისას დაგებადათ. ფილმის სათაურიდან გამომდინარე, ჩამოთვალეთ ფილმის რამდენიმე სავარაუდო გმირი.
მოსაზრება / იდეა: 1. ---------- 2. ---------- 3. ----------	ფილმის გმირები: 1. ---------- 2. ---------- 3. ----------

საფეხური 2. ფილმის ანალიზი ჩვენების პროცესში	
ა)	ფილმის სახეობა (მონიშნეთ სწორი პასუხი) ☐ ანიმაციური ☐ მხატვრული ☐ დოკუმენტური ☐ კინოქრონიკა ☐ პროპაგანდისტული ☐ თეატრალური დადგმის ჩანაწერი ☐ სატრენინგო ☐ და სხვა
ბ)	ფილმის ფიზიკური მახასიათებლები (მონიშნეთ სწორი პასუხი) ☐ მუსიკალური ☐ ნარატიული ☐ სპეციალური ეფექტებით ☐ ფერადი ☐ შავ - თეთრი

საფეხური 3. ფილმის ანალიზი ჩვენების შემდეგ

ა) ჩამოთვალეთ ის მოსაზრებები და იდეები, რომლებიც ფილმის ჩვენების შემდეგ დაემთხვა იმ იდეებს, რომლებიც სათაურის გაცნობის შემდეგ, ამ ფილმის წინასწარი ანალიზისას დაგებადათ

ბ) რა არის ამ ფილმის ძირითადი იდეა?

გ) რამდენად რეალისტურია ფილმში გადმოცემული ამბავი? დაასაბუთეთ.

დ) დაასახელეთ ორი რამ, რაც მოგვითხრობს იმ ქვეყნის შესახებ, რომელშიც ვითარდება ფილმის სიუჟეტი

1. _____

_____

2. _____

ე) დაუსვით შეკითხვა ფილმის შემქმნელებს, რომელიც ფილმში პასუხგაუცემელია

სარჩევი

ფოტოსურათის ანალიზი

საფეხური 1. დაკვირვება

ა) დააკვირდით ფოტოსურათს 2 წუთის განმავლობაში. როგორია ფოტოსურათისგან მიღებული ზოგადი შთაბეჭდილება? შემდეგ, დაყავით სურათი სექტორებად და კონკრეტულად გაარჩიეთ თითოეული სექტორი

1. ზოგადი შთაბეჭდილება _____

_____

2. სექტორების ანალიზი _____
_____

ბ) გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი და ჩამოწერეთ ადამიანების, საგნების და მოქმედებების სია

ადამიანები	საგნები	მოქმედებები

საფეხური 2. დასკვნა

ა) ჩამოთვალეთ სამი მნიშვნელოვანი რამ, რასაც ეს ფოტოსურათი გადმოგვცემს

საფეხური 3. შეკითხვები

ა) რა შეკითხვებს აღგიძრავთ ეს ფოტოსურათი?

ბ) სად შეგიძლიათ ამ შეკითხვებზე პასუხის მონახვა?

წერილობითი წყაროს ანალიზი

5. დოკუმენტის ტიპი:

- ○ მატიანე
- ○ ოფიციალური დოკუმენტი
- ○ პირადი წერილი
- ○ ინტერნეტგამოცემა
- ○ საერთაშორისო დოკუმენტი
- ○ მხატვრული ნაწარმოები
- ○ მემუარული ნაწარმოები
- ○ სტატია
- ○ მონოგრაფია
- ○ რეფერატი
- ○ ტელეგრამა

6. დოკუმენტის ფიზიკური (გარეგნული) მახასიათებლები:

- ☐ ნაბეჭდი
- ☐ ხელნაწერი
- ☐ ელექტრონული ვერსია
- ☐ ნახატი
- ☐ ამოტვიფრული

7. დოკუმენტის შექმნის დრო:

8. დოკუმენტის ავტორი/ავტორები (შემოქმედი):

9. ვისთვის იყო გამიზნული ეს დოკუმენტი:

10. დოკუმენტის ინფორმაცია: (პასუხები შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი)

ა) ჩამოთვალეთ ავტორის სამი მოსაზრება, რომელსაც მნიშვნელოვნად თვლით:

ბ) დაასახელეთ დოკუმენტის შექმნის მიზეზი (მოიყვანეთ ციტატა დოკუმენტიდან):

გ) რამდენად სანდოდ მიგაჩნიათ დოკუმენტი? პასუხი დაასაბუთეთ

დ) დაუსვით ავტორს ისეთი შეკითხვა, რომელიც თქვენი აზრით პასუხგაუცემელია დოკუმენტის მიხედვით:

სარჩევი

ხელოვნების ნიმუშის ანალიზის სამუშაო ფურცელი

1. **როგორია პირველადი შთაბეჭდილება?**

2. **აღნიშნეთ ყველა შესაბამისი ვარიანტი:**

❑ ფერწერული ტილო ❑ გრაფიკული გამოსახულება/ესკიზი ❑ გრავიურა/ლითოგრაფია
❑ ფრესკა ❑ სკულპტურა ❑ შერეული ტექნიკა

❑ სცენა/მოვლენა ❑ პორტრეტი ❑ პეიზაჟი ❑ აბსტრაქცია ❑ სხვა

ნიმუშის სათაური:

დააკვირდით ნიმუშის ფრაგმენტებს
ჩამოთვალეთ ადამიანები, საგნები და მოქმედებები, რომლებსაც თქვენ ხედავთ

ადამიანები	საგნები	მოქმედებები

დაწერეთ ერთი წინადადება, რომელიც აღწერს ამ ხელოვნების ნიმუშს:

გაეცით პასუხი შემდეგ შეკითხვებს:

ახსენით რას გამოხატავენ ფერები, ადამიანები, საგნები და მოქმედებები?

ვინ შექმნა ხელოვნების ნიმუში?

როდის შეიქმნა ხელოვნების ნიმუში?

როგორი იყო ისტორიული კონტექსტი იმ დროს, როდესაც ეს ნამუშევარი შეიქმნა?

რა არის ხელოვნების ნიმუშის ძირითადი იდეა? ჩამოთვალეთ მტკიცებულებები კონკრეტული ნიმუშის მიხედვით ან თქვენი ინფორმაცია ავტორის შესახებ, რომელმაც ამ დასკვნამდე მიგიყვანათ.

გამოიყენეთ ნიმუში როგორც ისტორიული მტკიცებულება:

რა გაიგეთ ხელოვნების ამ ნიმუშიდან ისეთ რამ, რასაც სხვაგან ვერ გაიგებდით?

კიდევ რომელი დოკუმენტებისა და ისტორიული წყაროების გამოყენებას აპირებთ ამ თემის უკეთ გასაგებად?